

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. პროგრამის არსი და მიზანი

1. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, რომელიც ხორციელდება სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ და წარმოადგენს ამავე ცენტრის ერთ-ერთ ძირითად მიზანსა და ფუნქციას, თანახმად ცენტრის დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა.
2. პირველ პუნქტში მითითებული ფუნქციის შესასრულებლად ცენტრის მიერ ხორციელდება ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა (შემდგომში - პროგრამა), რომელიც იმავდროულად წარმოადგენს დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტს.
3. პროგრამა განსაზღვრავს ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის წარმართვის, საქმეთა წარმოებისა და მართვის, ასევე მომსახურების გაწევის წესებს, პროგრამაში ჩართული სპეციალისტებისა და პროგრამის ბენეფიციართა უფლება-მოვალეობებს.
4. პროგრამის მიზანია პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ ყოფილ პატიმართა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის გზით დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შემცირება, კერძოდ, ისეთი აქტივობების განხორციელება და მომსახურების შეთავაზება, რომელთა არარსებობა შესაძლებელია ზრდიდეს დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს, ხოლო მიწოდება ხელს უწყობს ამავე პირებს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სირთულეების დაძლევაში.
5. ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს (შემდგომში - სამმართველო) ყველა თანამშრომელი, ასევე ცენტრის სხვა თანამშრომლები ან მესამე პირები, რომლებიც ჩართულნი იქნებიან პროგრამის განხორციელებაში, ვალდებული არიან დაიცვან ამ პროგრამით დადგენილი წესები და საქმეთა მართვა/მომსახურების გაწევა აწარმოონ მათ შესაბამისად. ამ პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებები ეკისრებათ ასევე პროგრამით მოსარგებლე პირებს. შესაბამისი თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ბენეფიციარის მონაწილეობას, ვალდებულია გააცნოს მას ამ ბრძანებით დაკისრებული ვალდებულებების შინაარსი.

## **მუხლი 2. პროგრამის სამიზნე ჯგუფი**

1. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ პირები, რომლებიც წარსულში იხდიდნენ სასჯელს ან აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებულ პატიმრობას საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს პენიტენციურ დაწესებულებაში.
2. პროგრამის სამიზნე ჯგუფები:
  - ა) საქართველოს მოქალაქეები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები (მიუხედავად იმისა, მინიჭებული აქვს თუ არა ასეთი პირის სტატუსი), რომელთაც აქვთ საქართველოში ლეგალურად ყოფნის სამართლებრივი საფუძველი;
  - ბ) პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები.
3. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში მომსახურება შესაძლებელია გაეწიოს ბენეფიციართა ოჯახის წევრებს, თუკი მოსალოდნელია, რომ ამგვარი აქტივობები დადებითად აისახება თავად ბენეფიციარის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესზე.
4. ცალკეული სარეაბილიტაციო მომსახურებების მიწოდებისას, შესაძლებელია დაწესდეს შეზღუდვები, რომლის მიხედვითაც მომსახურების მოსარგებლედ ჩათვლება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირთა მხოლოდ გარკვეული წრე, რომელიც აკმაყოფილებს მომსახურების სამიზნე ჯგუფის კრიტერიუმებს.

## **მუხლი 3. ტერმინთა განმარტება**

1. ამ პროგრამის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
  - ა) **ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა** - სამმართველოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია განმეორებითი დანაშაულის პრევენცია პროგრამაში ჩართულ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და პროსოციალური ღირებულებების აღდგენის/ჩამოყალიბების გზით.
  - ბ) **რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია** - ბენეფიციარში პასუხისმგებლობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, მისი ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.
  - გ) **რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესი** - ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიზნად ისახავს ყოფილი პატიმრის ფიზიკური ან/და ფსიქიკური ჯანმრთელობის აღდგენას ან გაუმჯობესებას, სოციალური ფუნქციონირების ამაღლებას და საზოგადოებაში რეინტეგრაციას, ასევე, სხვა ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელიც მიმართულია ყოფილი პატიმრის საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის უკეთესი შესაძლებლობების შექმნისკენ.
  - დ) **ყოფილი პატიმარი** - პირი, რომელიც წარსულში იხდიდა სასჯელს ან აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებულ პატიმრობას საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს პენიტენციურ დაწესებულებაში და პროგრამაში ჩართვის მომენტისთვის წარმოადგენს სასამართლოს მიერ მიღებულ, კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას (განჩინება, განაჩენი) ან/და ცნობას პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების თაობაზე.
  - ე) **პროგრამის ბენეფიციარი** - პროგრამაში ჩართული ყოფილი პატიმარი.
  - ვ) **ბენეფიციარის ოჯახის წევრი** - ბენეფიციარის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი ან გერი, მასთან მუდმივად მცხოვრები სხვა პირი.

ზ) **პროგრამის სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტი/სპეციალისტი** - პირი, რომელსაც აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლიდან მიღებული აქვს აკადემიური ხარისხი სოციალურ სამუშაოში ან არის სოციალური სამუშაოს სასერტიფიკატო სწავლების კურსდამთავრებული და დანიშნულია სამმართველოს სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტის/სპეციალისტის პოზიციაზე.

თ) **ბენეფიციარის საქმე** - ბენეფიციარის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესი, რომელსაც ახორციელებს პროგრამის თანამშრომელი.

ი) **ბენეფიციარის საქმის მასალები** - ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ფორმების გამოყენებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული და დამუშავებული ინფორმაცია, რომელშიც ასახულია ბენეფიციართა პერსონალური მონაცემები და მათ შესახებ სხვა სახის ინფორმაცია, ასევე რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესში მათ სასარგებლოდ გაწეული სამუშაო.

კ) **ბენეფიციარის საქმის მართვა** - ბენეფიციარის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა აქტივობებისა და მომსახურებების დაგეგმვას, განხორციელებას, ზედამხედველობას, სოციალურ „ადვოკატირებას“, თანამშრომლობას სხვა სპეციალისტებსა თუ ორგანიზაციებთან.

ლ) **საქმის მმართველი** - სამმართველოს სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტი/სპეციალისტი, რომელიც მართავს ბენეფიციარის საქმეს.

მ) **რისკი** - ბენეფიციართან ან/და მის სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული ნებისმიერი გარემოება, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნების მიღწევას.

ნ) **დამცავი ფაქტორი** - ბენეფიციართან ან/და მის სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული ნებისმიერი გარემოება, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნების მიღწევას.

ო) **პროგრამის ხელმძღვანელი** - პირი, რომელიც ხელმძღვანელობს ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს.

პ) **პროფესიული ზედამხედველობა** - პროფესიული ზედამხედველის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო, მხარდამჭერი და ადმინისტრაციული ღონისძიებების ერთობლიობა, რაც ემსახურება სოციალური სამუშაოს მთავარ სპეციალისტთა/სპეციალისტთა პრაქტიკული და თეორიული ცოდნის შეფასებას, ამაღლებასა და ეფექტიანობის გაზრდას.

ჟ) **პროფესიული ზედამხედველი** - სოციალური სამუშაოს სფეროში სათანადო გამოცდილების მქონე სამმართველოს თანამშრომელი ან მოწვეული პირი, რომელიც ახორციელებს პროფესიულ ზედამხედველობას.

რ) **პროგრამის თანამშრომელი** - სამმართველოს სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტი/სპეციალისტი, იურისტი, ფსიქოლოგი ან სხვა პროფესიის წარმომადგენელი, რომელიც ბენეფიციარს მომსახურებას უწევს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ან მონაწილეობს პროგრამის განხორციელების პროცესში.

ს) **მონაცემთა ელექტრონული ბაზა** - ელექტრონული პროგრამა, რომელიც ემსახურება პროგრამის ბენეფიციართა და სარეაბილიტაციო მომსახურებების შესახებ მონაცემთა შენახვას, მართვას, კონტროლს და პროცესში მონაწილე სპეციალისტებს შორის პროფესიულ კომუნიკაციას.

ტ) **ინდივიდუალური მომსახურების გეგმა** - საქმის მმართველის მიერ შეფასების ფორმაში ასახული დასკვნის/რეკომენდაციის გათვალისწინებით, გამოკვეთილი საჭიროებებიდან

გამომდინარე, კონსოლიდირებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ცნობებს შეფასების პროცესში გამოკვეთილი პრობლემების ან/და პრობლემატური გარემოებების (რომლის ცვლილებაც ხელს შეუწყობს ბენეფიციარის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესს), მიზნის მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებების, საჭირო რესურსების, პასუხისმგებელი პირებისა და განხორციელების ვადების შესახებ.

#### **მუხლი 4. პროგრამის აღწერა**

1. პროგრამაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.
2. პროგრამის თითოეული ბენეფიციარი უზრუნველყოფილია ამავე პროგრამით გათვალისწინებული და მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებებითა და აქტივობებით.
3. პროგრამის შესახებ პატიმრების ინფორმირებისა და შემდგომში მათი პროგრამაში ჩართვის მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებებში ხორციელდება ცენტრის სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტების/სპეციალისტების რეგულარული ვიზიტები.
4. დაინტერესებული პირების მიერ პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიღება/გამოთხოვა შესაძლებელია ერთ-ერთი შემდეგი საშუალებით:
  - ა) წერილობითი, მათ შორის ელექტრონული და სოციალური ქსელის მეშვეობით;
  - ბ) პირადი მომართვის შემთხვევაში;
  - გ) „ცხელ ხაზზე“ დაკავშირების შემთხვევაში.

#### **მუხლი 5. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები**

1. პროგრამა ითვალისწინებს ყოფილი პატიმრებისთვის შემდეგი სახის მომსახურებების მიწოდებას:
  - ა) ფსიქო-სოციალური მომსახურება;
  - ბ) იურიდიული მომსახურება;
  - გ) ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
  - დ) დასაქმების ხელშეწყობა;
  - ე) სპორტული, რეკრეაციული და კულტურული ღონისძიებების განხორციელება;
  - ვ) პროფესიული გადამზადება/ხელობის შესწავლა;
  - ზ) არაფორმალური განათლება;
  - თ) ყოფილ პატიმართა ბიზნეს-ინიციატივების მხარდაჭერა;
  - ი) ბენეფიციარების ოჯახის წევრებთან მუშაობა.
2. პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს სხვა სახის კანონიერ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლის შედეგადაც იქმნება ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის წამახალისებელი პირობები და მცირდება რისკები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ამავე მიზნების მიღწევას.

#### **მუხლი 6. პროგრამის ამოცანები**

1. პროგრამის ძირითადი ამოცანებია:

- ა) ყოფილი პატიმრების საჭიროებებზე მორგებული ფსიქო-სოციალური მომსახურების შექმნა, მოძიება და მიწოდება;
- ბ) საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიმართულებით;
- გ) ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სფეროს განვითარების ხელშეწყობა.
2. ყოფილი პატიმრების საჭიროებებზე მორგებული ფსიქო-სოციალური მომსახურების შექმნა, მოძიება და მიწოდება გულისხმობს:
- ა) პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებების განხორციელებასა და განვითარებას;
- ბ) კერძო და საჯარო სექტორში არსებულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და მათ მხარდაჭერას ახალი მომსახურებების შექმნისა და მოძიების მიზნით;
- გ) ამავე მიმართულებით სხვა სახის აქტივობების განხორციელებას.
3. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიმართულებით გულისხმობს:
- ა) ყოფილ პატიმართა მიმართ საზოგადოებაში არსებული „სტიგმის“ დაძლევის საინფორმაციო კამპანიას;
- ბ) პროგრამის მიმდინარეობისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების რეგულარულად ინფორმირებას სოციალური ქსელის, ტელე/რადიო მაუწყებლობის, საინფორმაციო ბროშურებისა და სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრების გზით;
- გ) ამავე მიმართულებით საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების ხელშეწყობას;
- დ) ქვეყნის მასშტაბით პროგრამაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას;
- ე) ამავე მიმართულებით სხვა სახის აქტივობების განხორციელებას.
4. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სფეროს განვითარების ხელშეწყობა გულისხმობს:
- ა) პროგრამის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას;
- ბ) პროგრამის სტატისტიკის წარმოებასა და ანალიზს;
- გ) ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სფეროში თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მიზნით უწყებათაშორისი თანამშრომლობის კოორდინირებას, კვლევაზე დაფუძნებული პრაქტიკის წახალისებას;
- დ) ამავე მიმართულებით სხვა სახის აქტივობების განხორციელებას.
5. ცენტრი უზრუნველყოფს პროგრამის მიმდინარეობისა და განხორციელებული საქმიანობის შესახებ პერიოდული ანგარიშების წარმოებას.

## **მუხლი 7. პროგრამის შინაარსი**

1. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა მოიცავს ამ წესით განსაზღვრულ, ასევე მასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულ სხვა აქტივობებსა და მომსახურებებს, რომლებიც განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ბრძანებით, სხვა სავალდებულო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან/და საქართველოს კანონმდებლობით.

2. მომსახურების ან/და აქტივობის აღწერაში ასახული და მკაფიოდ გამოკვეთილი უნდა იყოს მათი მიზანი, მიზნის შესასრულებლად საჭირო ამოცანები, აგრეთვე, ყველა საჭირო რესურსი, მომსახურების ან/და აქტივობის შემადგენელი თითოეული ეტაპი, ნაწილი ან ცალკეული მოქმედება, რომელიც განხორციელდება მომსახურების ან/და აქტივობის ფარგლებში. მომსახურების ან/და აქტივობის შემუშავების დროს წინასწარ უნდა განისაზღვროს მისი მოსალოდნელი შედეგების როგორც რაოდენობრივი, ასევე - თვისებრივი ინდიკატორები, რაც საშუალებას აძლევს სპეციალისტს, კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგიით განსაზღვროს მომსახურების ან/და აქტივობის მოკლე და გრძელვადიანი შედეგები ეფექტიანობის კუთხით.

### **მუხლი 8. პროგრამის განმახორციელებელი**

პროგრამას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

### **მუხლი 9. პროგრამის დაფინანსება**

პროგრამის დაფინანსება განისაზღვრება საქართველოს წლიური საბიუჯეტო კანონით ცენტრისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. ასევე, პროგრამა შეიძლება დაფინანსდეს ცენტრის მიერ მიღებული საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან.

## **თავი 2. პროგრამის პრინციპები**

### **მუხლი 10. პროგრამის პრინციპები**

1. პროგრამაში მონაწილე სუბიექტები პროგრამის მიზნების განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ნებაყოფლობითობის, დისკრიმინაციის აკრძალვისა და ინდივიდუალური მიდგომის, სტიგმატიზაციის დაუშვებლობის, კონფიდენციალურობის, კომპეტენტურობის, კეთილსინდისიერების, კოლეგიალობის, პატივისა და ღირსების დაცვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბენეფიციარის მაქსიმალური ჩართულობისა და ინფორმირებულობის პრინციპების საფუძველზე.
2. პროგრამაში მონაწილე ყველა სუბიექტს აქვს უფლება, დაიცვან და პატივი სცენ კანონმდებლობით აღიარებულ მის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.
3. ამ პროგრამის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ წარმოშვას რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველი, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ხელყოფის რისკი.

## **მუხლი 11. ნებაყოფლობითობა**

პროგრამაში ჩართვა და მონაწილეობა ნებაყოფლობითია და შესაძლებელია ნებისმიერი ყოფილი პატიმრისთვის, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის სამიზნე ჯგუფისათვის დაწესებულ კრიტერიუმებს.

## **მუხლი 12. დისკრიმინაციის აკრძალვა და ინდივიდუალური მიდგომა**

1. პროგრამაში ბენეფიციარის ჩართვა ხორციელდება, თუ ის აკმაყოფილებს პროგრამით დადგენილ კრიტერიუმებს.
2. პროგრამაში ყოფილი პატიმრის ჩართვა უნდა მოხდეს განურჩევლად მისი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნისა. პროგრამის თანამშრომელს არ აქვს უფლება განსაჯოს ბენეფიციარი მისი მორალის, კულტურის, ჩადენილი დანაშაულისადმი დამოკიდებულების ან სხვა ქმედების გამო.
3. მომსახურების გაწევის დროს, დაუშვებელია ბენეფიციარის დისკრიმინაცია რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნით.
4. პროგრამის თანამშრომლები ვალდებული არიან საქმიანობის განხორციელების პროცესში იხელმძღვანელონ ინდივიდუალური ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც განპირობებულია ადამიანთა შორის არსებული განსხვავებებით და მომსახურების გაწევისას ითვალისწინებენ ბენეფიციართა დამახასიათებელ თავისებურებებს.
5. გარკვეულ შემთხვევებში, ცალკეული ჯგუფების მოწყვლადობის ხარისხის შესაბამისად, შესაძლებელია დაწესდეს საგამონაკლისო პირობები, რომლის მიხედვითაც მომსახურების მოსარგებლედ ჩაითვლება პირთა მხოლოდ გარკვეული წრე, რომელიც დააკმაყოფილებს ასეთი სამიზნე ჯგუფის კრიტერიუმებს.

## **მუხლი 13. სტიგმატიზაციის დაუშვებლობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული არც ერთი ღონისძიება არ უნდა იწვევდეს ბენეფიციართა სტიგმატიზაციას. ნებისმიერი აქტივობა, პროექტი თუ სხვა მოქმედება ან გადაწყვეტილება უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად შემცირდეს პროგრამის ბენეფიციართა სტიგმატიზაციის რისკები. ამავე მიზნით, აუცილებელია კონფიდენციალურობის დაცვა და სხვა სახის ინსტრუმენტების მაქსიმალურად გამოყენება.

#### **მუხლი 14. კონფიდენციალურობა**

1. პროგრამის მონაწილე თითოეული თანამშრომელი ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალურობა ბენეფიციარის საქმის მართვის დროს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. პროგრამაში ჩართულ პირთა პერსონალური მონაცემები მუშავდება პროგრამის მიზნებისთვის აუცილებელი მოცულობით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 15. კომპეტენტურობა, კეთილსინდისიერება და კოლეგიალობა**

1. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის მომსახურების გაწევას პირადად ან სხვა პირთა მეშვეობით უზრუნველყოფენ ცენტრის სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლები, რომელთა პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნავს ცენტრი. ცენტრი ვალდებულია მიიღოს ზომები თანამშრომლების უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.
2. პროგრამის თანამშრომლები პროფესიულ საქმიანობას ახორციელებენ კეთილსინდისიერად, პროგრამის მიზნების, პროფესიული და ეთიკური ფასეულობების დაცვითა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით. აღნიშნული სტანდარტების არსებობას ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიული ზედამხედველობის სისტემის ფუნქციონირებით, ასევე სხვა ღონისძიებების მეშვეობით (მათ შორის, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაწესებით და სხვა).
3. პროგრამის თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან კოლეგიალობის პრინციპი.

#### **მუხლი 16. პატივისა და ღირსების დაცვა**

პროგრამის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, ნებისმიერი ღონისძიების ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვა, მისი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა.

#### **მუხლი 17. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბენეფიციარის მაქსიმალური ჩართულობა და ინფორმირებულობა**

პროგრამის განხორციელებისას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბენეფიციარის მაქსიმალური მონაწილეობა და ჩართულობა მისი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული მოიცავს ნებისმიერ ისეთ საკითხს, რომელიც მისივე ინტერესებიდან გამომდინარე, არ გულისხმობს გადაწყვეტილებების ბენეფიციარისგან დამოუკიდებლად მიღებას.



### თავი 3. პროგრამის მონაწილე სუბიექტები

#### მუხლი 18. პროგრამის თანამშრომლები

1. პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნებისთვის ბენეფიციართან მუშაობენ სამმართველოს თანამშრომლები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ბენეფიციარებს და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ოჯახის წევრებს.
2. პროგრამის თანამშრომელი ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად, ამ პროგრამის, ცენტრის დებულებისა და შინაგანაწესის დაცვით. უფლებამოსილების ფარგლებში, თავისი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს ბენეფიციარის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნების მისაღწევად, ხელი შეუწყოს ბენეფიციარის საჭიროებების დაკმაყოფილებას.
3. ცენტრი უზრუნველყოფს პროგრამის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი საქმიანობის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში განხორციელებას.
4. პროგრამის თანამშრომელი:
  - ა) ბენეფიციარს აწვდის ინფორმაციას პროგრამის შესახებ და განუმარტავს მის უფლებამოსილებებს;
  - ბ) საჭიროების შემთხვევაში, საქმის მმართველის მიწვევით, მონაწილეობას იღებს მულტიდისციპლინურ განხილვაში;
  - გ) რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნების მისაღწევად, საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლობს ცალკეული საქმის მმართველთან;
  - დ) საქმის მმართველს აწვდის ინფორმაციას გაწეული მომსახურების შესახებ და აძლევს რეკომენდაციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციასთან დაკავშირებულ, მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;
  - ე) უფლებამოსილია საქმის მმართველისგან ან/და ბენეფიციარისაგან მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია მომსახურების გაწევისთვის საჭირო გარემოებების შესახებ;
  - ვ) მონაწილეობას იღებს პროგრამის ფარგლებში ახალი მომსახურებების შექმნასა და განხორციელებაში;
  - ზ) პასუხისმგებელია მის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციის დამუშავებაზე;
  - თ) ახორციელებს სხვა ნებისმიერ კანონიერ საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება პროგრამით დადგენილ წესს.

#### მუხლი 19. საქმის მმართველი

1. საქმის მმართველი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ფარგლებში, თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას წარმოადგენს ცენტრს.
2. საქმის მმართველი:
  - ა) ხელს უწყობს ბენეფიციარის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესს;
  - ბ) ბენეფიციარის საქმეს აფასებს და წარმართავს ამ პროგრამით დადგენილი წესების დაცვით;
  - ბ) საქმის მართვისას, უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს ბენეფიციარის კეთილდღეობისა და თვითრეალიზაციის ინტერესების დაცვას როგორც ცენტრში, ისე - სხვა დაწესებულებებთან ურთიერთობისას;

დ) ბენეფიციარს აწვდის სრულყოფილ ინფორმაციას პროგრამის, მომსახურებების, უფლება-მოვალეობებისა და ნებისმიერი იმ გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ბენეფიციარის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესზე;

ე) პასუხისმგებელია „ინდივიდუალური მომსახურების გეგმაში“ გათვალისწინებულ პირობების შესრულებისთვის სათანადო გარემოს შექმნაზე;

ვ) სათანადოდ რეაგირებს ბენეფიციარის მიერ მისთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე ნებისმიერი პრობლემისა და საჭიროების შესახებ, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ბენეფიციარის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე;

ზ) პროფესიულ ზედამხედველსა და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელს აწვდის ინფორმაციას იმ გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს პროგრამის ფუნქციონირებას;

თ) მიუთითებს ბენეფიციარს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული პირობების დარღვევაზე და აძლევს შესაბამის მითითებებს;

ი) საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარს სთავაზობს როგორც „ინდივიდუალური მომსახურების გეგმით“ გათვალისწინებულ აქტივობებში, ისე - სხვა ღონისძიებებში მონაწილეობას;

კ) საქმის მართვის ფარგლებში, პასუხისმგებელია ინფორმაციის სწორად დამუშავებაზე;

ლ) მონაწილეობს მულტიდისციპლინურ განხილვაში;

მ) ახორციელებს სხვა ნებისმიერ კანონიერ საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ პროგრამით დადგენილ წესს.

3. საქმის მმართველის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაც დაკავშირებულია ბენეფიციარის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციასთან, მიღებული უნდა იყოს შეფასების შედეგად დადგენილი რისკების, დამცავი ფაქტორებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

## **მუხლი 20. პროგრამის ბენეფიციარი და მისი უფლება-მოვალეობები**

1. პირი პროგრამის ბენეფიციარად ითვლება პროგრამაში ჩართვის შესახებ „მომართვის ფორმის“ შევსებისა და პროგრამის სოციალური სამუშაოს მთავარ სპეციალისტზე/სპეციალისტზე საქმის დაწერის შემდეგ. მომართვის ფორმას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არსებობის შემთხვევაში);

ბ) გათავისუფლების ცნობა ან/და განაჩენი;

გ) „თანხმობის ფორმა პერსონალური მონაცემების მოძიების, დამუშავებისა და გაცემის თაობაზე“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა, პასპორტი) არარსებობის შემთხვევაში აუცილებელია პირის, როგორც ყოფილი პატიმრის იდენტიფიცირება.

3. პერსონალური მონაცემების მოძიების, დამუშავებისა და გაცემის თაობაზე თანხმობის ფორმის არქონის შემთხვევაში, ბენეფიციარი უფლებამოსილია ისარგებლოს პროგრამის შიდა მომსახურებებითა და აქტივობებით, აგრეთვე, იმ მომსახურებებით, რომელთა მიღება არ საჭიროებს მესამე პირისთვის პერსონალური ინფორმაციის გადაცემას. კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია თანხმობის ფორმის შევსება ცალკეული მომსახურების მიღების მიზნით.

4. არასრულწლოვნის პროგრამაში ჩართვა ხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით. არასრულწლოვანი ყოფილი პატიმრის მომართვის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს თანხმობას არასრულწლოვნის პროგრამაში ჩართვაზე, რაც კანონიერი წარმომადგენლობისა და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად უნდა დაერთოს „მომართვის ფორმას“.

5. კანონიერი წარმომადგენელი ხელმოწერით ადასტურებს არასრულწლოვნის მიერ ხელმოწერილ „თანხმობის ფორმას პერსონალური მონაცემების მოძიების, დამუშავებისა და გაცემის თაობაზე“.

6. ბენეფიციარს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს და მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, თუ ეს არ დააზიანებს მისი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ინტერესებს;

ბ) მიიღოს ინფორმაცია პროგრამის მიზნისა და სარეაბილიტაციო მომსახურებებისა და აქტივობების შესახებ;

გ) უზრუნველყოფილი იყოს შეფასების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისი სარეაბილიტაციო მომსახურებით;

დ) საქმის მმართველს ან პროგრამის ხელმძღვანელს ზეპირად ან წერილობით მიაწოდოს თავისი მოსაზრება ან/და ინფორმაცია გაწეული მომსახურებებისა და აქტივობების ან პროგრამის შესახებ და მიიღოს განმარტება მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;

ე) ნებისმიერ დროს უარი თქვას პროგრამაში მონაწილეობაზე;

ვ) ისარგებლოს ამ პროგრამით გათვალისწინებული სხვა უფლებებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება პროგრამის პრინციპებს.

7. ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და ხელმოწერით დაადასტუროს „ინდივიდუალური მომსახურების გეგმა“;

ბ) პასუხისმგებლობით მოეკიდოს „ინდივიდუალური მომსახურების გეგმით“ გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას;

გ) დაიცვას ეთიკის ნორმები და იყოს კორექტული ცენტრის და მისი თანამშრომლების მიმართ;

დ) გაუფრთხილდეს ცენტრის პრესტიჟს, ავტორიტეტსა და საქმიან რეპუტაციას;

ე) არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია;

ვ) რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნებისათვის, პროგრამის თანამშრომელს მიაწოდოს მასთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაცია, აგრეთვე, რეგულარულად განაახლოს ინფორმაცია მისი შეცვლის შემთხვევაში.

ზ) არ ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის მისი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესს;

8. სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტის/სპეციალისტის მიერ შეთავაზების შემთხვევაში, ბენეფიციარს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ისეთ ღონისძიებებშიც, რომლებსაც პირდაპირ არ მოიცავს „ინდივიდუალური მომსახურების გეგმა“;

9. ბენეფიციარი პასუხისმგებელია ყველა უზუსტობაზე, რაც გამოწვეულია მის მიერ პროგრამის თანამშრომლებისთვის ინფორმაციის არაჯეროვნად ან არაკეთილსინდისიერად მიწოდებით;

10. ბენეფიციარის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მის მიმართ განხორციელდება პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება ბენეფიციარს.

## თავი 4. ბენეფიციარის საქმის მართვა

### მუხლი 21. საქმის მართვა

1. პროგრამის მიზნებისათვის საქმის მართვა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

ა) ბენეფიციარის მომართვა - „მომართვის ფორმა“, როგორც წესი, ივსება ცენტრის ოფისში, პენიტენციურ დაწესებულებაში, ან ყოფილი პატიმრის საცხოვრებელ ადგილზე, იმ შემთხვევაში, თუ ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებს ცენტრში გამოცხადებას. გამონაკლისის სახით, ცენტრის დირექტორის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაძლებელია „მომართვის ფორმის“ მიღება სხვა ადგილას შევსების გზითაც. „მომართვის ფორმის“ შესავსებად შესაძლებელია შეიქმნას ელექტრონული საშუალებები „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. „მომართვის ფორმების“ განაწილება ხდება პროფესიული ზედამხედველის მიერ. პროფესიული ზედამხედველის არარსებობის შემთხვევაში, „მომართვის ფორმები“ ნაწილდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. სავალდებულოა „მომართვის ფორმა“ დათარიღებული და ხელმოწერილი იყოს სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტის/სპეციალისტისა და მომმართველი პირის (არასრულწლოვნის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) მიერ. პროგრამაში ჩართვის მსურველი პირის მომართვაში აისახება პირის საკონტაქტო მონაცემები, ინფორმაცია ბოლო მსჯავრდების საფუძვლისა და ძირითადი საჭიროებების შესახებ;

ბ) საქმის შეფასება - საქმის შეფასება ასახავს პირის ბიო-ფსიქო-სოციალური მახასიათებლების შესახებ იმ მონაცემების ანალიზსა და დასკვნა/რეკომენდაციას, რაც საჭიროა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის დასაგეგმად;

გ) „ინდივიდუალური მომსახურების გეგმა“ - გეგმაში აისახება ბენეფიციარის პირად და სოციალურ გარემოში არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები. „ინდივიდუალური მომსახურების გეგმა“ განხილული და შეთანხმებული უნდა იყოს ბენეფიციართან. შეთანხმების შემდეგ, „ინდივიდუალური მომსახურების გეგმაზე“ თანხმობას ხელმოწერით ადასტურებენ საქმის მმართველი და ბენეფიციარი.

დ) „ინდივიდუალური მომსახურების გეგმის“ გადასინჯვა - შეფასების დასრულებიდან 6 თვის შემდეგ საქმის მმართველი „მონიტორინგის ფორმაში“ ახდენს „ინდივიდუალური მომსახურების გეგმით“ გათვალისწინებული მომსახურების შესრულების შეჯამებას, რომლის საფუძველზეც, მიღწეული შედეგებისა და პროცესში გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით ხორციელდება გეგმის გადასინჯვა და მასში ცვლილებების შეტანა.

ე) მონიტორინგი - „ინდივიდუალური მომსახურების გეგმის“ განხორციელება ექვემდებარება სისტემატურ მონიტორინგს, რომელსაც ყოველთვიურად ახორციელებს საქმის მმართველი, რაც ემსახურება რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის მიმდინარეობისას მიღწეული შედეგების, გამოვლენილი რისკებისა და დამცავი ფაქტორების დროულ აღმოჩენას, შესაბამისი საპასუხო ღონისძიების გატარებას; მონიტორინგი გრძელდება სარეაბილიტაციო პროცესის დასრულებამდე. „მონიტორინგის ფორმას“ ხელმოწერით ადასტურებს საქმის მმართველი.

ვ) საქმის დახურვა - საქმე იხურება ამ პროგრამით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ერთი და იმავე პირის პროგრამაში განმეორებით ჩართვის თაობაზე, არსებულ ვითარებასა და დახურული საქმის მასალებზე დაყრდნობით, გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი.

## **მუხლი 22. საქმის სტატუსი**

1. ყოფილი პატიმრის მიერ „მომართვის ფორმის“ შევსების შემდეგ, საქმეს შესაძლებელია მიენიჭოს ერთ-ერთი შემდეგი სტატუსი:

- ა) „ახალი“ - სტატუსი ავტომატურად ენიჭება ყოფილი პატიმრის საქმეს „მომართვის ფორმის“ შევსებისთანავე;
- ბ) „აქტიური“ - სტატუსი ენიჭება ბენეფიციარის საქმეს პროგრამის სოციალური სამუშაოს მთავარ სპეციალისტზე/სპეციალისტზე დაწერის შემდეგ;
- გ) „მიმდინარე“ - სტატუსი ენიჭება ბენეფიციარის საქმეს შეფასების ეტაპის დასრულების და სარეაბილიტაციო პროცესის დაწყების შემდეგ;
- დ) „დახურული“ - სტატუსი ენიჭება ბენეფიციარის საქმეს „დახურვის ფორმის“ შევსების შემდეგ;
- ე) „შეფასების გარეშე დახურული“ - სტატუსი ენიჭება ბენეფიციარის საქმეს „შეფასების გარეშე დახურვის ფორმის“ შევსების შემდეგ.
- ვ) „მომლოდინე“ - ბენეფიციარის საქმეს სტატუსი ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც ბენეფიციარის შეფასება დასრულებულია, ხოლო გამოკვეთილი საჭიროების შესაბამისი მომსახურება დროებით მიუწვდომელი.

## **მუხლი 23. ყოფილ პატიმართან დაკავშირებისა და საქმის წარმოების ზოგადი პროცედურები**

1. საქმის მმართველის ყოფილ პატიმართან დაკავშირება ხორციელდება შემდეგი წესების დაცვით:

- ა) საქმის დაწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში საქმის მმართველი ვალდებულია, დაუკავშირდეს ყოფილ პატიმარს და დაგეგმოს პირველი შეხვედრა. იმ შემთხვევაში, თუ ყოფილი პატიმარი უარს აცხადებს პროგრამაში ჩართვაზე ან „მომართვის ფორმაში“ მითითებული საკონტაქტო ინფორმაცია არასწორია, საქმის მმართველი საქმეს ხურავს არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.
- ბ) საქმის მმართველი 1 (ერთი) თვის განმავლობაში ერთკვირიანი შუალედებით 4-ჯერ უშედეგოდ განხორციელებული სატელეფონო კომუნიკაციის შემდეგ ხურავს საქმეს;
- გ) თუკი საქმის მმართველს აქვს სატელეფონო კონტაქტი ბენეფიციართან, 3 (სამი) თვის განმავლობაში ორკვირიანი შუალედებით ახორციელებს სატელეფონო კომუნიკაციას და აღრიცხავს მას შესაბამის ფორმაში, მაგრამ შეხვედრა ვერ ხერხდება, საქმის მმართველი ყოველი თვის ბოლოს აწარმოებს შესაბამის ფორმას და 3 (სამი) თვის შემდეგ ხურავს საქმეს;
- დ) თუკი ბენეფიციარი საქმის მმართველთან პირველი შეხვედრის შემდეგ არ ცხადდება შეთანხმებულ შეხვედრაზე, საქმის მმართველი 3 (სამი) თვის განმავლობაში ორკვირიანი შუალედებით ახორციელებს სატელეფონო კომუნიკაციას, რასაც აღრიცხავს შესაბამის ფორმაში და 3 (სამი) თვის შემდეგ ხურავს საქმეს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქმე იხურება „შეფასების გარეშე საქმის დახურვის ფორმის“ გამოყენებით.
3. „ინდივიდუალური მომსახურების გეგმით“ განსაზღვრული სარეაბილიტაციო პროცესის დასრულებისას, საქმის მმართველი ახდენს რეაბილიტაციის შემდგომი მდგომარეობის შეჯამებას, რომლის საფუძველზე საქმის მმართველი იღებს გადაწყვეტილებას „ინდივიდუალური მომსახურების გეგმის“ გადასინჯვის ან გეგმის შედგენის საჭიროების ან საქმის დახურვის შესახებ.
4. ყოფილი პატიმარს, საქმის დახურვის შემდეგ, მას ეძლევა შესაძლებლობა ხელახლა მომართოს ცენტრს, პროგრამაში განმეორებით ჩართვის მიზნით.

## **მუხლი 24. საქმის შეფასების ფორმის სტრუქტურა, ვადები და გამოყენების წესები**

1. ყოფილი პატიმრის საქმის შეფასების მიზნით გამოიყენება შეფასების ორი ინსტრუმენტი: „საქმის შეფასების ფორმა“, სრულწლოვანი ბენეფიციარების შესაფასებლად, „არასრულწლოვნის საქმის შეფასების ფორმა“ არასრულწლოვანი ბენეფიციარების შემთხვევაში.
2. შეფასების პროცესი იწყება ბენეფიციართან შეხვედრით, რომლის დროსაც საქმის მმართველი უხსნის ბენეფიციარს პროგრამის მიზნებს, აწვდის ინფორმაციას მომსახურებებისა და აქტივობების, ბენეფიციარის უფლება-მოვალეობების, კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ. ამავე შეხვედრაზე საქმის მმართველი აცნობს ბენეფიციარს „თანხმობის ფორმას პერსონალური მონაცემების მოძიების, დამუშავებისა და გაცემის თაობაზე“. სურვილის შემთხვევაში, ბენეფიციარი ხელს აწერს თანხმობას.
3. საქმის მმართველი აფასებს ბენეფიციარს საქმის შეფასების ფორმის საშუალებით. შეფასების პროცესი მოიცავს, მინიმუმ 3 (სამ) შეხვედრას ბენეფიციართან, მათგან მინიმუმ 1 (ერთ) ვიზიტს საცხოვრებელ ადგილზე მისი სოციალური გარემოს გაცნობის მიზნით.
4. შეფასების ფორმები შედგება შემდეგი ბლოკებისგან:
  - ა) I დემოგრაფიული მონაცემები;
  - ბ) II ჩადენილი სამართალდარღვევების ისტორია;
  - გ) III ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური განვითარება;
  - დ) IV დამოკიდებულებები;
  - ე) V კოგნიტური, ქცევითი და ემოციური განვითარება;
  - ვ) VI განათლება/სამუშაო გამოცდილება და ეკონომიკური მდგომარეობა;
  - ზ) VII ოჯახი, ურთიერთობები, საყოფაცხოვრებო პირობები და მატერიალური მდგომარეობა;
  - თ) VIII სოციალური ქსელი.
5. „საქმის შეფასების ფორმა“ სრულდება საქმის მმართველის დასკვნა/რეკომენდაციით, რომელშიც იგი აანალიზებს შეგროვებულ ინფორმაციას.
6. საქმის შეფასების პროცესი გრძელდება არაუმეტეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა. თუ შეფასების დასრულება ვერ ხერხდება დადგენილ ვადებში, შეფასების ფორმაში საქმის მმართველი მიუთითებს მუშაობის პერიოდს და შენიშვნის სახით განმარტავს შესაბამის მიზეზებს. შეფასების ფორმას საქმის მმართველი ადასტურებს ხელმოწერით.
7. თუ შეფასების ვადები ირღვევა ბენეფიციარის გამოუცხადებლობის გამო, შეხვედრების განახლებისა და პროცესში ხელახლა ჩართვისთვის ბენეფიციარს ეძლევა 3 (სამი) თვის ვადა.

აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, ბენეფიციარის გამოუცხადებლობის საფუძველზე, საქმის მმართველი ხურავს საქმეს.

8. შეფასების შედეგად საქმის მმართველის დასკვნაში ასახული საჭიროებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, საქმის მმართველი და ბენეფიციარი ერთობლივად თანხმდებიან „ინდივიდუალური მომსახურების გეგმაზე“ (არასრულწლოვანის შემთხვევაში, დამატებით, კანონიერი წარმომადგენელი), რის შემდეგაც სრულდება შეფასების ეტაპი და იწყება რეაბილიტაციის პროცესი.

## **მუხლი 25. საქმის დახურვის პროცედურები**

1. საქმის დახურვისას გამოიყენება ორი ფორმა: „შეფასების გარეშე საქმის დახურვის ფორმა“ და „საქმის დახურვის ფორმა“.

2. „შეფასების გარეშე საქმის დახურვის ფორმას“ საქმის მმართველი იყენებს შემდეგ შემთხვევებში:

ა) მომართვის ფორმაში არ არის მითითებული ან დაფიქსირებულია მცდარი საკონტაქტო ინფორმაცია;

ბ) საქმის დაწერიდან 1 თვის განმავლობაში საქმის მმართველი ვერ უკავშირდება მომმართველს;

გ) ყოფილი პატიმარი უარს ამბობს პროგრამაში ჩართვაზე;

დ) ბენეფიციართან პირველი შეხვედრის შემდეგ, 3 თვის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული მიზეზებიდან გამომდინარე შეუძლებელია შეფასების დასრულება;

ე) ბენეფიციარს საკუთარი სურვილისამებრ გაეწია ერთჯერადი მომსახურება/კონსულტირება და არ იკვეთება დამატებითი საჭიროება;

ვ) ბენეფიციარი რეგულარულად დადის არაფხიზელ მდგომარეობაში, რითაც აფერხებს შეფასების პროცესის დასრულებას და რის გამოც საქმის მმართველისგან მიღებული აქვს 3 სიტყვიერი გაფრთხილება;

ზ) შეფასების პროცესის განმავლობაში ბენეფიციარს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა;

თ) ბენეფიციარის სურვილის/საჭიროების დაკმაყოფილება სცილდება ცენტრის კომპეტენციას/უფლებამოსილებას;

3. „საქმის დახურვის ფორმას“ საქმის მმართველი იყენებს შემდეგ შემთხვევებში:

ა) დასრულდა ბენეფიციარის სარეაბილიტაციო პროცესი;

ბ) ბენეფიციარი რეგულარულად დადის არაფხიზელ მდგომარეობაში, რითაც აფერხებს სარეაბილიტაციო პროცესს, რის გამოც საქმის მმართველისგან მიღებული აქვს 3 სიტყვიერი გაფრთხილება;

გ) ბენეფიციარი არ ასრულებს ერთობლივად შემუშავებული „ინდივიდუალური მომსახურების გეგმით“ განსაზღვრულ აქტივობებს;

დ) სარეაბილიტაციო პროცესის განმავლობაში ბენეფიციარს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა;

ე) ბენეფიციარის სურვილის/საჭიროების დაკმაყოფილება სცილდება ცენტრის კომპეტენციას/უფლებამოსილებას;

4. თუ საქმეზე მუშაობს პროგრამის სხვა თანამშრომელი, აუცილებელია საქმის მმართველმა წერილობით აცნობოს მას საქმის დახურვის გადაწყვეტილების შესახებ მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე.

## **მუხლი 26. ფსიქოლოგის მომსახურება**

1. საქმის მმართველი ბენეფიციარს ფსიქოლოგთან ამისამართებს გადაუდებელი საჭიროების, მისი მოთხოვნისა და შეფასების პროცესში გამოკვეთილი გარემოებების საფუძველზე.

2. ფსიქოლოგი ვალდებულია გადამისამართებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში საქმის მმართველს მიაწოდოს ბენეფიციარის ფსიქოლოგიური მდგომარეობის პირველადი შეფასება. თუ შეფასების დასრულება ვერ ხერხდება დადგენილ ვადაში, „ფსიქოლოგის პირველადი შეფასების ფორმაში“ ფსიქოლოგმა უნდა მიუთითოს პირველი შეხვედრის თარიღი, ხოლო მიზეზები განმარტოს შენიშვნის სახით. „პირველადი შეფასების ფორმას“ ფსიქოლოგი ადასტურებს ხელმოწერით.

3. თუ ცენტრის ფსიქოლოგის მიერ პირველადი შეფასების შემდგომ გამოკვეთილი საჭიროება სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, ფსიქოლოგი ვალდებულია დაეხმაროს საქმის მმართველს ბენეფიციარის შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციაში გადამისამართებაში.

4. ფსიქოლოგის პირველადი შეფასებისას გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე, ასევე, ბენეფიციარის თანხმობის შემთხვევაში, ფსიქოლოგი აგრძელებს ბენეფიციართან მუშაობას. შესრულებული სამუშაო და დაგეგმილ ღონისძიებები ყოველთვიურად უნდა აისახოს „ფსიქოლოგის მონიტორინგის ფორმაში“.

5. საქმეზე მუშაობის პროცესში ფსიქოლოგი და საქმის მმართველი ვალდებული არიან გაცვალონ ინფორმაცია სარეაბილიტაციო პროცესის მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ და ერთობლივად დაგეგმონ შესაბამისი ღონისძიებები.

6. ფსიქოლოგი უფლებამოსილია შესაბამისი საფუძველით დახუროს საქმე, რომელსაც ახორციელებს „ფსიქოლოგის მიერ საქმის დახურვის ფორმის“ მეშვეობით შემდეგ შემთხვევებში:

ა) დასრულდა სამუშაო პროცესი;

ბ) ბენეფიციარი რეგულარულად დადის არაფხიზელ მდგომარეობაში, რითაც აფერხებს სამუშაო პროცესს და მიღებული აქვს 3 (სამი) სიტყვიერი გაფრთხილება;

გ) სარეაბილიტაციო პროცესის განმავლობაში ბენეფიციარს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა;

დ) ბენეფიციარის საჭიროებების დაკმაყოფილება სცილდება ცენტრის ფსიქოლოგის კომპეტენციას/უფლებამოსილებას.

7. „ფსიქოლოგის მიერ საქმის დახურვის ფორმაში“ ასახული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ბენეფიციარის პირველადი ჩივილები;

ბ) ჩატარებული სამუშაო;

გ) შეხვედრების რაოდენობა;

დ) ამჟამინდელი მდგომარეობა;

ე) რეკომენდაციები.



8. „ფსიქოლოგის მიერ საქმის დახურვის ფორმას“ ფსიქოლოგი ადასტურებს ხელმოწერით და უგზავნის საქმის მმართველს.

## **მუხლი 27. იურიდიული მომსახურება**

1. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულია იურისტი, რომელიც საქმის მმართველთან კოორდინირებული მუშაობით, სამართლებრივი პრობლემების მოგვარებაში დახმარებით გზით ხელს უწყობს ბენეფიციარის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას.
2. შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი იურიდიული დახმარების საჭიროების შემდეგ, საქმის მმართველი გეგმავს ბენეფიციარის ვიზიტს ან სხვაგვარ კომუნიკაციას იურისტთან.
3. კომუნიკაციის დასრულების შემდეგ იურისტი ავსებს „იურისტის ფორმას“, სადაც აისახება ინფორმაცია სამართლებრივი პრობლემის, გაწეული კონსულტაციისა და სხვა სახის დახმარების შესახებ.
4. საქმის მმართველი აქტიურად თანამშრომლობს პროგრამის იურისტთან. აწვდის მას ნებისმიერი ინფორმაციას, რაც საჭიროა ბენეფიციარის პრობლემის მოგვარების მიზნებისთვის. საჭიროების შემთხვევაში, იურისტი ახორციელებს კონსულტაციებს ფსიქოლოგთან.

## **მუხლი 28. მულტიდისციპლინური განხილვა**

1. რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესში, ერთი ან რამდენიმე საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც საჭიროებს სხვა სპეციალისტების ჩართულობას, შეიძლება გახდეს მულტიდისციპლინური განხილვის საგანი. მულტიდისციპლინური განხილვის საჭიროებას საქმის მმართველი ათანხმებს პროფესიულ ზედამხედველთან ან პროგრამის ხელმძღვანელთან. მულტიდისციპლინური განხილვის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ასევე აქვს პროფესიულ ზედამხედველს ან პროგრამის ხელმძღვანელს. პროფესიული ზედამხედველი ან პროგრამის ხელმძღვანელი განხილვის რეკომენდაციით მიმართავს ცენტრის დირექტორს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას მულტიდისციპლინური გუნდის შექმნის შესახებ. განხილვას მოდერაციას უწევს საქმის მმართველი, რომელიც ადგენს განხილვის ოქმს და ურთავს საქმეს.
2. მულტიდისციპლინური განხილვის ოქმში უნდა აისახოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:
  - ა) მულტიდისციპლინური განხილვის დრო და ადგილი;
  - ბ) განხილვაზე დამსწრე პირების სახელი, გვარი და სტატუსი;
  - გ) დღის წერიგი;
  - დ) განხილვის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილებები;
  - ე) განხილვის მოკლე აღწერა;
  - ვ) განხილვის ოქმის შედგენაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი და სტატუსი.
3. მულტიდისციპლინური გუნდის ძირითადი წევრები არიან: საქმის მმართველი, ფსიქოლოგი, იურისტი, პროფესიული ზედამხედველი და პროგრამის ხელმძღვანელი. განხილვაზე შესაძლებელია მოწვეული იყოს ცენტრის დირექტორი, ან სხვა თანამშრომელი საჭიროებისამებრ.

4. საქმის მმართველის გადაწყვეტილებით, განხილვაზე შეიძლება მოწვეულ იქნეს შესაბამისი სფეროს სპეციალისტი. იმ შემთხვევაში თუ საჭიროა გარე სპეციალისტის მოწვევა, საქმის მმართველი გადაწყვეტილებას ათანხმებს ხელმძღვანელთან.

## **მუხლი 29. საქმეზე მუშაობისა და ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის ვადები**

1. ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვა ხორციელდება მისი გათავისუფლებიდან 15 წლის განმავლობაში; საგამონაკლისო წესით, პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, შესაძლებელია, ბენეფიციარი პროგრამაში ჩაერთოს იმ შემთხვევაშიც, თუკი მისი გათავისუფლებიდან გასულია 15 წელზე მეტი;
2. ცალკეულ შემთხვევებში, ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში, მოწვევადი ჯგუფის გათვალისწინებით, შესაძლებელია დაწესდეს პროგრამაში ჩართვის სხვა ვადა.
3. ერთი საქმის ფარგლებში ბენეფიციარის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე მუშაობა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 2 წლისა.
4. საქმის მმართველის დასაბუთებული გადაწყვეტილებითა და პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ბენეფიციარის სურვილისა და საჭიროების გათვალისწინებით, შესაძლებელია ყოფილი პატიმრის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე მუშაობის ვადის გაგრძელება არაუმეტეს 1 წლით.

## **თავი 5. პროგრამის მართვა**

### **მუხლი 30. პროგრამის ხელმძღვანელი**

1. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის მართვაზე პასუხისმგებელი პირია სამმართველოს უფროსი.
2. პროგრამის ხელმძღვანელი:
  - ა) უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას ცენტრის დებულებისა და ამ პროგრამის მიზნების შესაბამისად;
  - ბ) უზრუნველყოფს პროგრამის თანამშრომელთა მიერ საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას;
  - გ) ხელს უწყობს სამმართველოში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დაცვას ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკასთან;
  - დ) უზრუნველყოფს სამმართველოს მონაწილეობას ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში და უფლებამოსილების ფარგლებში კოორდინაციას უწევს მათ შესრულებას;
  - ე) კოორდინაციას უწევს ბენეფიციართა საჭიროებებზე მორგებული რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროექტების შემუშავებას, სატრენინგო მოდულების შექმნას, პრაქტიკაში მათ დანერგვასა და მართვას;

- ვ) პროფესიული ზედამხედველობის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ზრუნავს პროგრამის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათი მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო სამუშაო პირობების დაცვას;
- ზ) სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს და მართავს პროგრამის რისკებსა და პრიორიტეტებს;
- თ) ამზადებს და ცენტრის დირექტორს წარუდგენს პერიოდულ ანგარიშებს პროგრამის მიმდინარეობის შესახებ;
- ი) მონაწილეობს მულტიდისციპლინურ განხილვაში;
- კ) ახორციელებს სხვა ნებისმიერ კანონიერ საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ პროგრამით დადგენილ წესს.
3. პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის მიმდინარეობასა და შედეგებზე ანგარიშვალდებულია ცენტრის დირექტორის წინაშე.
4. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დამუშავებასა და მის ნამდვილობაზე.

### **მუხლი 31. მომსახურებების შეფასება**

1. პროგრამის მართვა ხორციელდება ჩატარებულ ღონისძიებათა ეფექტიანობის შეფასების საფუძველზე. შეფასების განხორციელებისას გამოიყენება სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები, მათ შორის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.
2. სტატისტიკური მონაცემები მუშავდება და გამოიყენება პროგრამის მიღწეული შედეგების შეფასებისა და სამომავლო პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის პერსონალური მონაცემების დამუშავების სფეროში არსებული კანონმდებლობის დაცვით.

### **მუხლი 32. პროფესიული ზედამხედველობა სოციალური სამუშაოს მიმართულებით**

1. პროგრამის ფარგლებში, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით, ხორციელდება პროფესიული ზედამხედველობა.
2. პროფესიულ ზედამხედველობას ახორციელებს ცენტრის შესაბამისი თანამშრომელი ან ცენტრის მიერ სხვა ორგანიზაციიდან მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციისა და უფლებამოსილების მქონე პირი. სხვა ორგანიზაციიდან პროფესიული ზედამხედველის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი.
3. პროფესიული ზედამხედველობა გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც პროფესიული ზედამხედველი ხელს უწყობს სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტის/სპეციალისტის კომპეტენციის ამაღლებას, ქცევისა და ეთიკის სტანდარტის განვითარებას, შეფასების საფუძველზე აწვდის ინფორმაციასა და რეკომენდაციებს (უკუკავშირი) შესრულებული სამუშაოს შესახებ.
4. პროფესიულ ზედამხედველობას შესაძლებელია ითავსებდეს პროგრამის ხელმძღვანელი იმ შემთხვევაში, თუ ცენტრში არ არის დანიშნული ან მოწვეული პროფესიული ზედამხედველი. პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს პროფესიული ზედამხედველის ფუნქციებს, გარდა ამ წესის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტით, ამავე მუხლის მე-11 პუნქტის „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, მე-12 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და 34-ე მუხლით

გათვალისწინებული ფუნქციებისა, ხოლო ამ წესის 32-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, აგრეთვე ამავე მუხლის მე-11 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებითა და 35-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ განახორციელოს ასეთი ფუნქცია.

5. პროფესიული ზედამხედველი პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს ზედამხედველობისას გამოკვეთილ გარემოებებს და საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მომსახურების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

6. პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება პროფესიული ზედამხედველობა, უფლება აქვს იცნობდეს პროფესიული ზედამხედველის შეფასებას და მიიღოს სათანადო ინფორმაცია და რეკომენდაციები (უკუკავშირი), გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც რეკომენდირებულია უკუკავშირის ზოგადი სახით გაცნობა.

7. პროფესიული ზედამხედველობა სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში მიზნად ისახავს პრაქტიკოსი სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტის/სპეციალისტის გაძლიერებას და მისი მუშაობის ეფექტიანობის გაუმჯობესებას ბენეფიციარისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ხელშეწყობისთვის.

8. ცენტრის მენეჯმენტის მიერ თანამშრომელთა პროფესიული განვითარება დამატებით იგეგმება და წარიმართება პროფესიული ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, რაც წარმოადგენს ზედამხედველობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს, ხარვეზების პრევენციის და მათზე რეაგირების სახით.

9. პროფესიულ ზედამხედველი ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) ადმინისტრაციული - უზრუნველყოფს სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტის/სპეციალისტის პრაქტიკის შესაბამისობას კანონმდებლობასთან, ცენტრის შიდა რეგულაციებსა და ამ პროგრამით გათვალისწინებულ პროცედურებსა და ვადებთან, აგრეთვე, ახორციელებს ინდივიდუალურ საქმეზე მუშაობის პროცესში საქმის მმართველის მხარდაჭერას, გართულებული საქმის მართვის პროცესზე ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებას, ზედამხედველობას მეთოდოლოგიური მითითებებისა და პროფესიული რჩევების გაზიარების გზით.

ბ) საგანმანათლებლო - ეხმარება საქმის მმართველს კონკრეტულ სამიზნე ჯგუფთან სამუშაო სპეციფიკის უკეთ გაგებაში, მხარს უჭერს მას კომპეტენციისა და მოტივაციის ამაღლებაში.

გ) პროფესიული მხარდაჭერი - ეხმარება საქმის მმართველს გაუმკლავდეს სამუშაოსთან დაკავშირებულ სტრესს, ამ გზით ხელს უწყობს უსაფრთხო და ადეკვატური სამუშაო გარემოს შექმნაში, მხარს უჭერს მას რთულ მდგომარეობაში და ეხმარება პროფესიული გადაწყვეტის რისკის შემცირებაში.

10. პროფესიული ზედამხედველი ცენტრში ახორციელებს შემდეგ საქმიანობებს:

ა) ადმინისტრაციული საქმიანობა - ეთანხმება ან უარყოფს „საქმის შეფასების“, „ინდივიდუალური მომსახურების გეგმის“ და „საქმის დახურვის ფორმებს“. ასევე, ეცნობა „მონიტორინგის ფორმებს“.

ბ) ინდივიდუალური მუშაობის პროცესი - უთანხმდება სოციალური სამუშაოს მთავარ სპეციალისტს/სპეციალისტს თანამშრომლობაზე, შესაბამისი ფორმით აფასებს მის კომპეტენციას და შესაძლებლობებს, გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ადგენს პროფესიული ზედამხედველობის გეგმას, სადაც გაწერილია ის აქტივობები და მეთოდები, რაც დაეხმარება სოციალური სამუშაოს მთავარ სპეციალისტს/სპეციალისტს არსებული პროფესიული გამოწვევების გადალახვაში. შეფასებისა და გეგმის გაცნობასა და სპეციალისტთან შეთანხმების მიზნით, ზედამხედველი ხვდება სოციალური სამუშაოს

მთავარ სპეციალისტს/სპეციალისტს, ხოლო შეხვედრის შესახებ ინფორმაციას ასახავს „პროფესიული ზედამხედველის უკუკავშირის ფორმაში“.

გ) ჯგუფური აქტივობები - პროფესიული ზედამხედველი შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით ხელს უწყობს სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტების/სპეციალისტების გაძლიერებას, რაც შეიძლება გამოიხატოს საქმის განხილვაში, პროფესიული კომუნიკაციის გაუმჯობესებაში, როლურ თამაშსა და სხვა მეთოდებში. სასურველია ჯგუფური აქტივობების დაგეგმვა პროგრამის ყველა სპეციალისტთან ინდივიდუალური ზედამხედველობის სესიის ჩატარების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებების და ძლიერი მხარეების ზოგადი ტენდენციების მიხედვით.

დ) უკუკავშირი - პროფესიული ზედამხედველობის პროცესი გულისხმობს სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტების/სპეციალისტების შეფასებას, ინფორმაციასა და რეკომენდაციებს (უკუკავშირს), რაც შეადგენს პროცესის აუცილებელ კომპონენტს. უკუკავშირი გულისხმობს ორმხრივ პროცესს, რომლის დროსაც პროფესიული ზედამხედველობის დროს ჩართული პირები ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას, განიხილავენ განვლილი პროცესის ეფექტიანობას და ხარვეზებს, ასევე გეგმავენ შემდგომ ნაბიჯებს, რაც გაიწერება პროფესიული ზედამხედველობის ახალ ინდივიდუალურ გეგმაში.

11. საქმიანობის განხორციელების პროცესში პროფესიული ზედამხედველი ვალდებულია:

ა) გაანაწილოს „მომართვის ფორმები“;

ბ) ზედამხედველობა გაუწიოს საქმის წარმოების ვადებს, საქმის მართვის პროცესში შეგროვებული დოკუმენტაციის სისრულეს და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება გამოვლენილი ნაკლოვანებების თაობაზე;

გ) შეაფასოს სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტები/სპეციალისტები;

დ) „პროფესიული ზედამხედველის შეფასების ფორმის“ საფუძველზე საჭიროებისამებრ შეუდგინოს „პროფესიული ზედამხედველობის ინდივიდუალური გეგმა“ და განახორციელოს მიმდინარე პროცესის მონიტორინგი;

ე) წერილობით მიაწოდოს „პროფესიული ზედამხედველის უკუკავშირის ფორმა“ სოციალური სამუშაოს მთავარ სპეციალისტს/სპეციალისტსა და პროგრამის ხელმძღვანელს;

ვ) ყოველ 3 თვეში ერთხელ მოამზადოს შემაჯამებელი ანგარიში პროფესიული ზედამხედველობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

ზ) გამონაკლის შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელის მოთხოვნით, მოამზადოს არაგეგმიური ანგარიში.

თ) მონაწილეობა მიიღოს მულტიდისციპლინურ განხილვაში.

ი) შეასრულოს ამ პროგრამით დადგენილი წესით ან საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

12. პროფესიული ზედამხედველი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს და გაეცნოს საქმის მართვის პროცესში წარმოებულ დოკუმენტებს;

ბ) დაგეგმოს სოციალური სამუშაოს მთავარ სპეციალისტებთან/სპეციალისტებთან ინდივიდუალური შეხვედრები, აგრეთვე, ჯგუფური შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

გ) იმ შემთხვევაში თუ სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტი/სპეციალისტი არ ეთანხმება პროფესიული ზედამხედველის ინფორმაციასა და რეკომენდაციებს (უკუკავშირს), მიმართოს პროგრამის მმართველს საქმის ერთობლივად განხილვის მიზნით.

დ) განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ პროგრამით დადგენილ წესს.

### **მუხლი 33. პროფესიული ზედამხედველის კვალიფიკაცია**

1. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფესიულ ზედამხედველობას ამ პროგრამის მიხედვით ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული ზედამხედველისათვის აუცილებელია აკადემიური ხარისხი სოციალურ მუშაობაში, აგრეთვე, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ან სხვა საერთაშორისო სტანდარტით აღიარებული ორგანიზაციის მიერ გაცემული პროფესიული ზედამხედველის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა და მინიმუმ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება.
2. სავალდებულოა, პროფესიული ზედამხედველი იცნობდეს ცენტრის ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მის მარეგულირებელ დოკუმენტებს.

### **მუხლი 34. პროფესიული ზედამხედველობის ფორმები**

1. პროფესიული ზედამხედველი საქმიანობის განხორციელების დროს ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული შემდეგი ფორმებით:
  - ა) „სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტის/სპეციალისტის შეფასების ფორმა“ - აღიწერება სპეციალისტის ძლიერი და სუსტი მხარეები. ასევე, აღინიშნება პრაქტიკული საქმიანობის შესაბამისობა სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსსა და პროფესიულ ღირებულებებთან. გარდა ამისა, პროფესიული ზედამხედველი აფასებს, რამდენად გამართულია სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტის/სპეციალისტის საქმიანობის ადმინისტრაციული კომპონენტები (აქვს თუ არა ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია, დაცულია თუ არა ვადები და ა.შ).
  - ბ) „პროფესიული ზედამხედველობის ინდივიდუალური გეგმა“ - შეიცავს საერთო მიზანს, რაც დაყოფილია მოკლევადიან ნაბიჯებად, მიზნებად და გათვალისწინებულია მისი მიღწევისთვის საჭირო სავარაუდო ვადები. გეგმა აღწერს იმ საკითხებს, რისი გაუმჯობესებაც სჭირდება სოციალური სამუშაოს მთავარ სპეციალისტს/სპეციალისტს. „პროფესიული ზედამხედველობის ინდივიდუალური გეგმის“ განახლება ხდება „პროფესიული ზედამხედველის უკუკავშირის ფორმის“ შესაბამისად, საჭიროებისამებრ.
  - გ) „პროფესიული ზედამხედველობის მონიტორინგის ფორმა“ - აისახება გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაცია, პროცესში გამოკვეთილი სირთულეები, ასევე სოციალური სამუშაოს მთავარი სპეცისლისტის/სპეციალისტის მიღწეული შედეგები.
  - დ) „ჯგუფური აქტივობის დაგეგმვის ფორმა“ - ხორციელდება პროგრამის მეთოდოლოგიის შესაბამისად და თანხმდება პროგრამის ხელმძღვანელთან.
  - ე) „პროფესიული ზედამხედველის უკუკავშირის ფორმა“ - აისახება პროფესიული ზედამხედველისა და სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტის/სპეციალისტის შეხვედრის ანგარიში, ასევე ზედამხედველობის პროცესის შეფასება, ანალიზი და პროცესის გაგრძელების სამომავლო ხედვა.
  - ვ) „შემაჯამებელი ანგარიშის ფორმა“ - მოიცავს ინფორმაციას ზედამხედველობის შედეგების შესახებ, შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც რაოდენობრივი ასევე თვისებრივი სახით და წერილობითი ფორმით მიეწოდოს პროგრამის ხელმძღვანელს.

### **მუხლი 35. პროფესიული ზედამხედველობის პერიოდულობა**

1. „სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტის/სპეციალისტის შეფასების ფორმის“ შედგენა ხდება წელიწადში ერთხელ, ფორმის შევსებისთვის პროფესიულ ზედამხედველს ეძლევა 30 სამუშაო დღე სოციალური სამუშაოს მთავარ სპეციალისტთან/სპეციალისტთან მუშაობის დაწყების დღიდან.
2. „პროფესიული ზედამხედველობის ინდივიდუალური გეგმა“ დგება „სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტის/სპეციალისტის შეფასების ფორმის“ ან „პროფესიული ზედამხედველის უკუკავშირის ფორმის“ შევსების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
3. ინდივიდუალური შეხვედრა ხორციელდება არანაკლებ 4 თვეში ერთხელ, საჭიროებისამებრ შესაძლებელია შეხვედრების რაოდენობის გაზრდა საკუთარი ინიციატივით ან პროგრამის ხელმძღვანელის მითითებით.
4. „პროფესიული ზედამხედველობის მონიტორინგის ფორმა“ ივსება ჩატარებული აქტივობის თარიღის შემდგომ 5 სამუშაო დღის ვადაში.
5. ჯგუფური აქტივობის დაგეგმვა ხორციელდება სამუშაო პროცესის მიმდინარეობის გათვალისწინებით, რა დროსაც პროფესიული ზედამხედველი იღებს გადაწყვეტილებას ჯგუფური აქტივობის ჩატარების სიხშირესთან დაკავშირებით, არანაკლებ ერთხელ 6 თვის განმავლობაში.
6. „ჯგუფური აქტივობის დაგეგმვის ფორმა“ ივსება ჩასატარებელი აქტივობის თარიღამდე სულ მცირე 10 სამუშაო დღით ადრე.
7. „პროფესიული ზედამხედველის უკუკავშირის ფორმა“ დგება სამჯერ წლის მანძილზე, შეფასებისა და გეგმის წარდგენის მიზნით გამართული შეხვედრის, ექსპერტიზის პერიოდის გასვლის შემდეგ გეგმის გადასინჯვისას და 1 წლის ბოლოს საბოლოო შეჯამებისას, შეხვედრიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
8. „შემაჯამებელი ანგარიშის ფორმა“ დგება 4 თვეში ერთხელ. პროგრამის ხელმძღვანელი უფლებამოსილია მორიგი ანგარიშის წარმოდგენამდე მოსთხოვოს პროფესიულ ზედამხედველს შუალედური ანგარიშს წარდგენა, რომელიც ასახავს მიმდინარე მდგომარეობას. ასეთი მოთხოვნა უნდა შესრულდეს მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

### **მუხლი 36. მონაცემთა ელექტრონული ბაზა**

1. პროგრამის ადმინისტრირებისა და ოპტიმიზაციის მიზნით ბენეფიციარის საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია აისახება მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.
2. მონაცემთა ბაზის ტექნიკური გამართულობის მონიტორინგსა და სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვას უზრუნველყოფს სამმართველოს ერთ-ერთი თანამშრომელი ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

### **მუხლი 37. რეფერირება და მონიტორინგი**

1. რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისათვის საჭირო მომსახურებებში ბენეფიციარების ჩართვის კოორდინირების მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე,

სამმართველოს ერთ-ერთ თანამშრომელს ეკისრება შემდეგი საქმიანობის განხორციელების ვალდებულება:

- ა) სარეაბილიტაციო მომსახურებების შესახებ ინფორმაციის მოძიება და სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტების/სპეციალისტებისათვის მიწოდება;
- ბ) ბენეფიციარების ან/და მათი ოჯახის წევრებისთვის საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდების მონიტორინგი და პროგრამის ხელმძღვანელისა და სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტის/სპეციალისტის ინფორმირება;
- გ) სამმართველოს ბენეფიციარებისთვის ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა და ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა;
- დ) ბენეფიციართა მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გადაცემა;
- ე) დასაქმებულ ბენეფიციართა მონიტორინგი;
- ვ) მოკლევადიან პროფესიულ სასწავლო კურსებში ჩართულ ბენეფიციართა დასწრების მონიტორინგი;
- ზ) „ცხელ ხაზზე“ შემოსული ზარების მონიტორინგი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება;
- თ) პროგრამის ხელმძღვანელის ან/და ცენტრის დირექტორის სხვა დავალებები.

### **მუხლი 38. საქმეთა შენახვა/დაარქივება**

დახურული საქმის შენახვა/დაარქივების წესი განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებით.

### **მუხლი 39. მომსახურებების მიწოდების ადმინისტრირება**

1. პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული უნდა იყოს მომსახურების მიწოდების კრიტერიუმები არსებული რესურსების რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ინტერესების შესაბამისად განაწილების მიზნით.
2. კერძო და საჯარო სექტორში არსებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, ახალი სერვისების შექმნისა და ეფექტიანი რეფერალური სისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ცენტრი უზრუნველყოფს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სფეროში უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინირებას, არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერასა და საზოგადოებაში ამავე მიმართულებით სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების ხელშეწყობას.

### **მუხლი 40. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სფეროს განვითარება**

ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სფეროს განვითარების მიზნით, ცენტრი ხელს უწყობს ამ მიმართულებით კვლევების წარმოებას, თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლასა და გამოყენებას, თანამშრომლობს ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ არსებულ ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ პირებთან.